



θ



უსაფრთხოების თანაგადადგენა არქიტექტურა და გეოგრაფიული ტენდენციები ჰანდეივის პირობებში

შოთა ღვინეაშვილი

შოთა ღვინერია

B | S | T The Black Sea Trust
for Regional Cooperation
A PROJECT OF THE GERMAN MARSHALL FUND

E P R C
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

პუბლიკაცია დაფინანსებულია Black Sea Trust - German Marshall Fund of the United States მიერ. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს Black Sea Trust-ის ან მისი პარტნიორების პოზიციას.

© ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

კოვიდ-19-ის კრიზისმა და მისგან გამომწვეულმა შოკურმა რეაქციებმა უსაფრთხოების თანამედროვე სარქიტექტურის არაპროგნოზირებადი და ცვალებადი ბუნება გამოკვეთა. 2020 წლის აგვისტოში საყოველთაო პანიკის, იზოლაციის უპრეცედენტო ზომებისა და გლობალური კავშირების აპოკალიფსური განწყვეტის შემდეგ სიტუაცია ეტაპობრივად ჩვეულ რიტმს უბრუნდება. ევრო-ატლანტიკური სივრცის სახელმწიფოთა დიდ ნაწილში მთავრობებმა შეზღუდვების მოხსნა დაიწყეს. პანდემიის ნიშნები ჯერ კიდევ სახეზეა, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ კოვიდ-19-ის გავრცელების პიკი და მისგან გამომწვეული მსხვერპლის მაქსიმალური მაჩვენებლები განვლილი ეტაპია. არავის აქვს ინფორმაცია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე როგორც პანდემიის ხანგრძლივობა, იქნება თუ არა შემდეგი ტალღა, როდის იქნება ხელმისაწვდომი ვაქცინა და ა.შ. როცა ჯადოსნური ჯოხი არავის უპყრია და კრიზისიდან გამოსვლის მწყობრი გეგმაც არავის აქვს, კოვიდ-19-ის კრიზისის შედეგების შეფასებასა და ანალიზს თვეები ან სულაც წლები დასჭირდება.

ვირუსის წარმოშობისა და მისი თვისებების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობით გამომწვეული გლობალური დაბნეულობის მიუხედავად უსაფრთხოების თანამედროვე სტრუქტურის ძირითად მახასიათებლებზე საუბარი ჯერ კიდევ შესაძლებელია. სახეზეა რამდენიმე თვალშისაცემი ტენდენცია, რომლებიც ანალიტიკური მუშაობისთვის აუცილებელ ელემენტებს გვთავაზობს. გასული ათწლეულების განმავლობაში ჩინეთისა და რუსეთის მსგავსი ავტორიტარული რეჟიმები დასავლეთის მიერ დაწესებული საერთაშორისო წესრიგის წინააღმდეგ ჰიბრიდული სტრატეგიით მოქმედებდნენ. ამ სტრატეგიებს საფუძვლად დემოკრატიული პოლიტიკური სისტემების, ინსტიტუტებისა და სამოგადოებების სუსტი მხარეების იდენტიფიკაცია და გამოყენება უდევს. პანდემიით გამომწვეულმა კრიზისმა ამ სისუსტეებს არა მარტო ხაზი გაუსვა, არამედ ჰიბრიდული სტრატეგიების გამოყენების ახალი შესაძლებლობები გააჩინა. ამ სტატიის უმთავრესი მიზანი პანდემიის კრიზისის ევრო-ატლანტიკურ უსაფრთხოებაზე შესაძლო გავლენის შეფასებაა ჰიბრიდული ომის კონტექსტში. ეს ჰიბრიდული ომის ნათელი და პრაგმატული დეფინიციის შემოთავაზების და მისი თეორიული ნაწილის ევრო-ატლანტიკურ სივრცეში მიმდინარე რეალურ პროცესებთან დაკავშირების მცდელობაა. სტატიაში დიდი ყურადღება ექცევა კიბერსივრცეს და საინფორმაციო ეკოსისტემას, როგორც ჰიბრიდული ომის აუცილებელ და ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტებს.

სტატია უფრო ვრცელი კვლევის შემოკლებული ვერსიაა, რომელიც ავტორმა „ბალტიის უსაფრთხოების ჟურნალში“ 2020 წლის სექტემბერში გამოაქვეყნა.¹ კვლევა პანდემიით გამომწვეული კრიზისის დროს, 2020 წლის აპრილიდან ივნისამდე პერიოდში ჩატარდა. ჰიბრიდულ ომის ტენდენციებზე პანდემიამდე მოპოვებული დიდი რაოდენობის მონაცემებით სარგებლობისთვის გამოყენებულ იქნა ხელმისაწვდომი ლიტერატურა და სხვადასხვა კვლევის მიგნებების სინთეზი. მიმდინარე პანდემიაზე სპეციფიური სამეცნიერო ლიტერატურის სიმცირის გამო გამოყენებული მონაცემების წყაროდ აღიარებული ექსპერტებისა და სამოგადოებრივი აზრის ლიდერების სტატიები და საინფორმაციო მასალები გამოვიყენეთ. გარდა სტატიებისა კვლევას საფუძვლად დაედო სხვადასხვა დარგის წამყვან ექსპერტებთან და მიმომხილველებთან ჩატარებული ინტერვიუები. წყაროთა ანალიზი და გამოკითხვები ნათლად აჩვენებს, რომ კოვიდ-19-ის პანდემიამ მიერ მსოფლიო წესრიგის მომავლის შესახებ წამოჭრილი კითხვების არეალი გააფართოვა და მეტი სიმწვავე შესძინა ჰიბრიდული ომის როლის საკითხს უსაფრთხოების თანამედროვე პოლიტიკაში.

¹ Journal on Baltic Security. Volume 6 (1). <https://www.baltdefcol.org/?id=691>

გეოპოლიტიკური ტენდენციები პანდემიის პირობებში

როგორც რუსი პოლიტიკური იდეოლოგი ალექსანდრე დუგინი ჯერ კიდევ პანდემიის დაწყებამდე იმედოვნებდა, კოვიდ-19-ის კრიზისმა და ფიზიკური გადარჩენის იმპერატივმა სახელმწიფოებს ლიბერალური და ტრანსნაციონალური მიდგომების მიტოვებისკენ უბიძგა.² გლობალური პრობლემის გადაწყვეტის გზების ძიებისას ქვეყნებს სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად საზღვრების დაკეტვა მოუწიათ. დუგინის მთავარი არგუმენტის მიხედვით გლობალიზმის, ლიბერალიზმის პრინციპებზე დაფუძნებულმა ინსტიტუტებმა და საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმებმა სრული მარცხი განიცადეს ვირუსის გავრცელების აღსაკვეთად და ვერც პანდემიაზე ეფექტური რეაგირება უზრუნველყვეს. ის ამტკიცებს, რომ კრიზისის მართვის ერთადერთი გზა საზღვრების დაკეტვა და ფუნდამენტური თავისუფლებების შეზღუდვა იყო. ასეთ მსჯელობას ის მიყავს დასკვნამდე, რომლის თანახმად პანდემიამ რეგიონისტული რეჟიმების გარდაუვალი მარცხი დააჩქარა, ხოლო დემოკრატია ეტაპობრივი გადაგვარება ელით, როგორც ამას უნგრეთის და დასავლეთის სხვა ზოგიერთი ქვეყნის მაგალითი აჩვენებს. დასკვნით ნაწილში დუგინი გლობალური პანდემიით გამოწვეულ უპრეცედენტო გარემოებებს თანამედროვე გეოპოლიტიკაზე ამოგადებს და ვარაუდობს, რომ გლობალიზმი, როგორც ფენომენი დასრულებულია და მსოფლიომ მულტიპოლარული ფორმა უკვე მიიღო. ის რასაც დუგინი მულტიპოლარულ მსოფლიოს ეძახის, უსაფრთხოების ექსპერტთა შორის დისკუსიის საგანი კოვიდ-19-ის გავრცელებისთანავე გახდა. საუბარი პანდემიით გამოწვეული რეგიონალიზაციის ტენდენციის გაძლიერებას ეხებოდა. რა თქმა უნდა, რეგიონალიზაციის რეგიონისტული გაგება სამეზობლო სივრცეებში გავლენის სფეროების დაბრუნებასა და მათ ლეგიტიმაციას ნიშნავს. დასავლეთის პერსპექტივიდან რეგიონალიზაციის სასიკეთო შედეგი ტრანსატლანტიკური კავშირების გაძლიერება, ჩინეთის ბაზრებზე და მრეწველობაზე დამოკიდებულების შემცირება და ამ უკანასკნელის დასუსტება შეიძლება იყოს.

მსოფლიო წესრიგის მომავალზე რეგიონისტული რეჟიმებისა და დასავლეთის ხედვებს შორის არსებული უზარმაზარი სხვაობა ახლა ყველაზე მეტადაა თვალშისაცემი. დუგინის დასკვნებისგან განსხვავებით, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ჯოზეფ ნეი ამტკიცებს, რომ კოვიდ-19-ის კრიზისი მსოფლიო წესრიგის შესაცვლელად საკმარისი არ იქნება.³ ის გარდაუვალ ცვლილებებს აღიარებს, მაგრამ, ამავე დროს, სკეპტიკურადაა განწყობილი ახალი, პოსტ-გლობალიზაციური რეალობის ჩამოყალიბების თაობაზე. ნეი გლობალიზაციის საკვანძო ფაქტორად სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროგრესით გაადვილებულ კონტინენტაშორის ურთიერთდამოკიდებულებას ასახელებს. ის ასკვნის, რომ „კედლები, იარაღი და ტარიფები“ ამ უმთავრესი ასპექტების ტრანსნაციონალურ მოქმედებას ვერ შეაფერხებენ. ნეი რუსეთს საერთოდ არ ახსენებს, ჩინეთს კი შეერთებული შტატებისთვის გლობალური მასშტაბის საფრთხის შექმნისთვის არასაკმარისად განვითარებულად თვლის. მისი ვარაუდები ეყრდნობა ისეთ მნიშვნელოვან კრიტერიუმებს როგორც რბილი ძალის გამოყენების, ალიანსების შექმნის, სასურველი კვალიფიკაციის საერთაშორისო კადრების მიზიდვის და საერთაშორისო ინსტიტუტებზე გავლენის მოხდენის უნარები და შესაძლებლობებია. ნეი მიიჩნევს, რომ პანდემიამ ორივე ქვეყნის ეკონომიკა დააზიანა, თუმცა მძიმე დარტყმის მიუხედავად, შეერთებულმა შტატებმა შეინარჩუნა უპირატესობა ენერგეტიკაში, ტექნოლოგიაში, დემოგრაფიული კუთხით და განათლების ხარისხში. ამ ფაქტორების კომბინაცია ნეის საფუძველს აძლევს ივარაუდოს, რომ გეოპოლიტიკური ვითარების გარდამტეხი მომენტის დადგომის შესახებ საუბარი ნაადრევია.

პოსტ-პანდემიურ პერიოდში გლობალიზაციის დაკნინება და მულტიპოლარული კონფიგურაციის გაძლიერებაზე საუბარი ჯერაც ნაადრევია. ბევრი იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რომელიც ქვეყნები მოახერხებენ ახალი რეალობისთვის ალღოს აღებას და კრიზისულ პერიოდში საერთაშორისო ლიდერის ადგილის დამკვიდრებას. დასავლეთის ლიდერობა და შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის მიერ კრიზისთან გამკლავების შედეგები ის ფაქტორებია, რომლებიც წესებზე დაფუძნებული, ლიბერალური საერთაშორისო სისტემის გადარჩენის გადამწყვეტ გავლენას მოახდენენ. „გლობსეკის“ ორგანიზებულ ვებინარზე გამოსვლისას, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტის სპეციალურმა მრჩეველმა, ნატალი ტოჩიმ, ხაზი გაუსვა ევროკავშირის მოთხოვნილებას ეპოვა „შინაგანი დულაბი“, რომელიც მას შეერთებული შტატებისა და

² Memri, 2020. Anti-Liberal Russian Philosopher Dugin: The New Multi-Polar World Order Is Upon Us, Where Russia, China And Even The United States, Can Survive By Suspending Democracy. Memri, Special Dispatch,
³ Nye, J. S., 2020. No, The Coronavirus Will Not Change the Global Order. Foreign Policy, 16 April

ჩინეთის გლობალური კონკურენციისთვის წინააღმდეგობის განევას შეაძლებინებდა.⁴ მრავლისმთქმელი სათაურის - „განუყოფელი ევროპა? სამხრეთის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები პოსტ-პანდემიურ პერიოდში“ - მქონე ვებინარის დასკვნები გვაფიქრებინებს, რომ თავად ევროკავშირი კონფრონტაციულობით გამორჩეულ დღევანდელ მსოფლიოში ლიდერის როლს ვერ იკისრებს. ამ ეტაპზე, კრიზისის ხაზგასმით სახელმწიფო საზღვრების ფარგლებში მართვა და ევროკავშირის მოკრძალებული როლი აჩვენებს, რომ ფინანსური სიძნელეებისა და ეგოიზმის დროებაში ევროკავშირის შიგნით არსებული უთანხმოებები და ამრთა სხვადასხვაობა დიდი ალბათობით შენარჩუნდება და გაძლიერდება კიდევ. როგორც „სტრატეგიული სწავლების საერთაშორისო ინსტიტუტის“ უფროსი მრჩეველი ფრანსუა ჰაისბურგი ამბობს, კრიზისმა ერი-სახელმწიფოს 20-ე საუკუნეში დამკვიდრებული ხედვა გააძლიერა. ის ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფოს მიერ საზოგადოების გარე საფრთხეებისგან დამცველის, რესურსების გამმანაწილებელის და ეკონომიკური მენეჯერის როლის დაბრუნებაზე.⁵ გამრავლდა ნიშნები, რომლებიც 2020 წლის ბოლოს ევროსაბჭოს პრეზიდენტობის დასრულებამდე ბერლინის მიერ ევროკავშირის ერთიანობაზე და მისი, როგორც გლობალური მოთამაშის პოზიციების გაძლიერებაზე მიუთითებს. ტრანსატლანტიკური თანამშრომლობის და გლობალური გეოპოლიტიკის გერმანულ ხედვას კარგად ახასიათებს მისი პრეზიდენტობის სლოგანი: „ერთად. გავხადოთ ევროპა კვლავაც ძლიერი.“⁶ ევროკავშირის შიგნიდან გამაგრების პარალელურად არ უნდა დაგვავიწყდეს ის გაუარესების ის საფრთხე, რომელიც უკვე დაზიანებულ ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებს ემუქრება.

განვითარებული ტენდენციები მიუთითებს, რომ პანდემია დასავლეთის ყველაზე სუსტ მხარეს, ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებს, აყენებს მიანს. ტრანსატლანტიკურ სივრცეში ნდობის აღდგენას ხელი არ შეუწყობს შეერთებული შტატების მთავრობის მიერ პანდემიისას მიღებულმა ზოგიერთმა გადაწყვეტილებამ, როგორც ევროპელ მოკავშირეებთან თავისუფალი მიმოსვლის მათთან წინასწარი კონსულტაციების გარეშე შეზღუდვა და მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის დაფინანსების შეჩერება იყო. გლობალურ ასპარეზზე შეერთებული შტატების მზარდმა პასიურობამ შექმნა ბუნებრივი ვაკუუმი, რომლითაც რეგიონისტული ძალები მათი პოლიტიკისა და ხედვების დამკვიდრებისა და გატარებისთვის სარგებლობენ. ამისთვის ისინი ე.წ. „პირბადის დიპლომატიის“ ხერხებსაც იყენებენ. ამის მაგალითი იყო ჩინეთისა და რუსეთის მიერ საექვო ხარისხის ჰუმანიტარული დახმარების ტვირთების დასავლეთის ქვეყნებისთვის და მათი მოკავშირეებისთვის გაგზავნა. ამ დახმარების გარშემო შექმნილმა ორაზროვანმა კონტექსტმა გააჩინა ეჭვი მისი პოლიტიკური დანიშნულების შესახებ.⁷ ჩინეთთან და რუსეთთან თანამშრომლობის შესაძლებლობებზე ევროკავშირის საერთო პოზიციის შემუშავების შესახებ ბრიუსელში მიმდინარე დებატების მიუხედავად, ამ დროისთვის არაფერი მიუთითებს „პირბადის დიპლომატიის“ ხელშესახებ დადებით ეფექტს რეგიონისტული ძალების რეპუტაციასა და პოზიციებზე. მიუხედავად ამისა, ამ კონტექსტში რუსეთისა და ჩინეთის განხილვის ფაქტი თავისთავად საკმარისია ტრანსატლანტიკური პერსპექტივების სავალალო მდგომარეობის დემონსტრირებისთვის. საწყის ეტაპზე გლობალური კონკურენცია საგნობრიობას მოკლებული იყო. კრიზისის დაწყების შემდეგ კონკურენტები ერთმანეთს “ნარატივზე” კონტროლისთვის შეეჭიდნენ: ვინ არის პასუხისმგებელი პანდემიის გაჩენისა და გავრცელებისთვის, ვინ მართვას კრიზისის უკეთესად და ა.შ. საბოლოო ჯამში ლიდერობის ნამდვილი უნარის დემონსტრირება ვაქცინების, მკურნალობის, ეკონომიკური აღორძინების და კრიზისიდან გამოსავლის სხვა გზების პოვნისთვის კონკურენციაში გამარჯვება იქნება.

უსაფრთხოების თანამედროვე არქიტექტურა და მომავალი ტენდენციები: მსოფლიო ნაშლილი საგლვრებით

მოგადი პერსპექტივიდან, ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების ბოლო ათწლეულების უდიდესი სირთულე ავტორიტარული რეჟიმების გაძლიერება და დასავლეთის მიერ ინიცირებული, წესებზე დაფუძნებული, ლიბერალური მსოფლიო წესრიგის მორღვევისკენ მიმართული მათი აგრესიული პოლიტიკა იყო. ტერმინი

⁴ Globesec, 2020. Europe (Un)Divided? Southern and CEE States' Post-Pandemic Position. [Online] Available at: <https://www.facebook.com/GLOBSECforum/videos/306965516976013/> [Accessed 09 June 2020].

⁵ Heisbourg, F., 2020. From Wuhan to the World: How the Pandemic Will Reshape Geopolitics. Survival, 62(3)

⁶ Posner, J. & der Burchard, H. v., 2020. Back off, Trump. Germany wants to Make Europe Strong Again. Politico

⁷ O'Connell, K., 2020. washingtonpost. [Online] Available at: <https://www.washingtonpost.com/outlook/2020/05/05/are-there-any-humanitarian-superpowers-covid-19-fight/> [Accessed 9 June 2020].

„რევიზიონიზმი“ საგარეო პოლიტიკის ექსპერტთა მიერ გლობალური ურთიერთქმედებების ლიბერალური პრინციპებისა და ჩარჩოს მოშლის პროცესის აღსაწერად გამოიყენებოდა. ამ კატეგორიაში მოიაზრებოდა ავტორიტართა მიერ დემოკრატიული ღირებულებებისა და ინსტიტუტების წინააღმდეგ გამოყენებული პოლიტიკა.⁸ დასავლეთის ღირებულებებისა და ინტერესებთან საწინააღმდეგო რევიზიონისტული პოლიტიკის გატარებისთვის რუსეთი და ჩინეთი ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტებს როგორც მათ უშუალო სამეზობლოში, ისე გლობალური მასშტაბით იყენებენ. ბერძნული მითოლოგიის ქმნილება, კენტავრი, ამ მეთოდთა ჰიბრიდულობის განმარტებისთვის შესანიშნავი ანალოგიაა ბერძნული მითოლოგიის ქმნილება – კენტავრი. კენტავრი შესაძლოა იყოს დანახული ერთდროულად როგორც ადამიანი და როგორც ცხენი, ეს შემფასებლის პერსპექტივაზეა დამოკიდებული. ამ დროს კენტავრი არც ცხენია და არც ადამიანი, ის ჰიბრიდული ქმნილებაა, რომელიც ორივე ფორმის ელემენტებს შეიცავს. ანალოგიურად, ჰიბრიდული ომი არც ომია და არც მშვიდობა, ის მოიცავს ორივეს თვისებებსა და საშუალებებს, როგორც ხისტ, ისე რბილ ძალას.

ჰიბრიდული ომი შეიძლება იყოს განსაზღვრული, როგორც თანმიმდევრული სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო ძალის ყველა ელემენტის ურთიერთმონაცვლეობით ან ერთდროულად გამოყენებას მოწინააღმდეგის სისუსტეების იდენტიფიცირებისთვის და ამ წერტილებზე შემდგომი შეტევისთვის. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თანმიმდევრული სტრატეგია არ ითვალისწინებს ჰიბრიდული ომის ყველა გამოვლინების ოპერაციულ დონეზე სინქრონიზაციასა და ურთიერთკავშირს. ამის ნაცვლად პრიორიტეტი პროცესის უწყვეტობას ენიჭება, რომლის დროსაც არ მოწინააღმდეგეები მუდმივად ეძებენ ერთმანეთის სისუსტეებს და ცდილობენ მათ დაუყოვნებლივ გამოყენებას უპირატესობის მოსაპოვებლად. მარტივად რომ ვთქვათ, ჰიბრიდული ომის სტრატეგიები დამოკიდებულია იმ შესაძლებლობებზე, რომლებიც მოქმედ მხარეებს ეძლევათ და რომლებიც მათ საბოლოო მიზნების მიღწევაში ეხმარებიან. ამ შესაძლებლობების შემთხვევითი ხასიათი, რომლებიც სპეციფიური ოპერაციების დროის სხვადასხვა მონაკვეთში განხორციელებას იწვევს, ჰიბრიდული ომის ჩარჩოში მიმდინარე მოქმედებებზე გარე დამკვირვებლისთვის შესაძლოა ქაოსის შთაბეჭდილებას ტოვებდეს. შესაბამისად, ჰიბრიდული ომის გამართული სტრატეგიისთვის მნიშვნელოვანია გამოსაყენებელი ინსტრუმენტებისა და მეთოდების კონკრეტული მოცემულობისა და კონტექსტის მიხედვით შერჩევა, სწორი არცხევანი მათი გამოყენების მაქსიმალური ეფექტურობისა და ოპერაციის წარმატების საწინდარია. ეს ძირითადი თვისებები ჰიბრიდულ ომს ერთდროულად თანმიმდევრულ, ქაოსურ და კომპლექსურ ფენომენად აქცევს. სწორედ მისი უწყვეტი მიმდინარეობა და შესაძლებლობებით განპირობებული გამოყენება აყალიბებს ჰიბრიდული ომის ძნელად პროგნოზირებად ხასიათს, ართულებს საწინააღმდეგო მოქმედებას ან მის შეკავებას.

დასავლეთის უნარობა შეიმუშაოს კრიტიკული საფრთხეების საწინააღმდეგო ერთიანი სტრატეგია ან თუნდაც ნათლად გამოკვეთოს ისინი, მის სტრატეგიულ სისუსტედ იქცა. უსაფრთხოების რისკების პრიორიტეტიზაციის მეთოდები და ხედვა ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ ინსტიტუტებშიც კი მკვეთრად განსხვავებული და მრავალფეროვანია. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის მოსაზღვრე ქვეყნებისთვის, რომლებიც ე.წ. აღმოსავლეთის ფლანგზე მდებარეობენ, რუსეთის აგრესიული პოლიტიკა სასიცოცხლო საფრთხეების კატეგორიაშია. მათგან განსვავებით, დასავლეთ და სამხრეთ ევროპის ქვეყნებში რუსეთთან ურთიერთობა თანამშრომლობისა და პარტნიორობის კონტექსტში განიხილება, საფრთხეები აქ, როგორც წესი, გაზვიადებულად ითვლება. იმ შემთხვევაშიც კი, როცა საფრთხე სათანადოდ აღიარებულია, მისი საწინააღმდეგო მოქმედება სხვადასხვაგვარად, ქვეყნის მდებარეობიდან გამომდინარე განიხილება, იქნება ეს ჩრდილოეთ-სამხრეთის ღერძი თუ დასავლეთ-აღმოსავლეთის. ერთიან ხედვას, რომ აღარაფერი ვთქვათ ერთიან მოქმედებაზე, შეუძლებელს ხდის გლობალური და გეოპოლიტიკური დღის წესრიგის კომპლექსურობა, გართულებული ტრანსატლანტიკური ურთიერთობები, უთანხმოებები ევროკავშირის ქვეყნებს შორის, ბრექსიტი და ა.შ. შესაბამისად, რევიზიონისტული სტრატეგიები ხშირად მიზნად იმ დაპირისპირებებისა და უთანხმოებების გამძაფრებას ცდილობენ, რომლებიც დასავლეთის ქვეყნებს შორის და საზოგადოებებში უკვე არსებობს. ამით ისინი დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკური ერთობის რღვევას მის კრიტიკულ სისუსტედ აქცევენ.

ჰიბრიდული სტრატეგიები და ინსტრუმენტები საომარი მოქმედებების ნაწილი საუკუნეების განმავლობაში იყვნენ. თანამედროვე, გლობალიზებული მსოფლიოსთვის დამახასიათებელმა თვისებებმა მათი გამოყენების ახალი შესაძლებლობები შექმნეს. ერთ-ერთი ასეთი თვისება, რომელიც უსაფრთხოების თანამედროვე კონფიგურაციის ჩამოყალიბებაზე ყველაზე დიდ გავლენას ახდენს, ძირითად მოთამაშებს

⁸ Pisciotta, B., 2020. Pisciotta, Barbara. "Russian revisionism in the Putin era: an overview of post-communist military interventions in Georgia, Ukraine, and Syria. Italian Political Science Review/Rivista Italiana di Scienza Politica, 50(1), pp. 87-106

შორის სასიცოცხლო მნიშვნელობის სფეროებში არსებული ურთიერთდამოკიდებულება და კავშირებია. ასეთი სფეროებია წარმოება და მომარაგების ქსელები, ტექნოლოგიები, ტრანსპორტი და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა. 11 სექტემბრის ტერაქტები იყო შესხენება, რომ ყველაზე ძლიერი ქვეყანაც კი ვერ შეძლებდა საკუთარი უსაფრთხოების იზოლირებულად, სამხედრო ძალაზე დაყრდნობით და მხოლოდ მისი საზღვრების დაცვით უზრუნველყოფას. შეერთებულ შტატებზე 11 სექტემბერს განხორციელებული შეტევების შემდეგ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია გაფართოვდა და ყოვლისმომცველ ფენომენად იქცა. მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნებისთვის აშკარა გახდა, რომ გეოგრაფიული მდებარეობა და სამხედრო ძალით ტერიტორიის კონტროლი მათ თანამედროვე საფრთხეებისგან ვეღარ დაიცავდა. მტრულად განწყობილმა ძალებმა უკიდურესად გრძელი დისტანციების უმოკლეს დროში დაფარვის შესაძლებლობები შეიძინეს. გლობალურმა ურთიერთკავშირებმა უსაფრთხოების ისეთი ძირითადი ფაქტორები გაანეიტრალა, როგორც გეოგრაფია და დროა. პანდემიით გამოწვეული დროებითი შეფერხებების მიუხედავად, ფიზიკური თუ პოლიტიკური საზღვრები კვლავაც გარდაუვალი გაქრობის გზას ადგას.

ზღვარი მშვიდობასა და ომს შორის - არამშვიდობა

როგორც რუსეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი გერასიმოვი წერდა, „დღეს მშვიდობასა და ომს შორის საზღვრები ბუნდოვანია“. ეს ნიშნავდა, რომ ჰიბრიდული ომი დესტრუქციული დღის წესრიგის შესრულების უზარმაზარ შესაძლებლობებს იძლევა, მაგრამ, ამავე დროს, ღია კონფლიქტის დაწყების ზღვარს არ კვეთს. ამ შეხედულებასთან სრულ თანხვედრაში, რომელიც დასავლეთის დედაქალაქებში დემოკრატიული პროცესების ჩაშლისა და დესტაბილიზაციისთვის საინფორმაციო ომს და მასთან დაკავშირებულ ყველა ძირგამომთხრელ ინსტრუმენტს იყენებს, რუსეთისთვის დემოკრატიის დასუსტების საუკეთესო გზად მონათესავე ავტორიტარული რეჟიმების მხარდაჭერა იქცა. 2015 წელს სირიაში სამხედრო ინტერვენციამ რუსეთის ეროვნულ გმირს, ალექსანდრე დვორნიკოვს, ჰიბრიდული ომის ახალი, 2.0 დოქტრინის გამოცდის საშუალება მისცა. ეს დოქტრინა ამოსაცნობი ნიშნების გარეშე მოქმედ დაქირავებულ მებრძოლთა „ინტეგრირებული ჯგუფების“, რეჟიმის ერთგული ლოკალური მილიციისა და შეიარაღებული ძალების მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში კრემლის ერთგულ ავტორიტართა მხარდაჭერას ეყრდნობა.⁹ დვორნიკოვის დოქტრინის გამოყენების უახლესი მინიატურული მაგალითი ვენესუელა იყო, როცა რუსეთმა იქ მადუროს მხარდასაჭერად სამხედრო მოსამსახურეები და აღჭურვილობა გაგზავნა.¹⁰ დოქტრინა სრულყოფილად ეწერება „პუტინის მუდმივი სახელმწიფოს“ ხედვაში, რომელიც კრემლის ყოფილმა იდეოლოგიურმა სულისჩამდგმელმა, ვლადისლავ სურკოვმა გაავრცელა.¹¹ სურკოვი პირდაპირ წერდა, რომ რუსეთის ავტორიტარული მოდელის საექსპორტო პოტენციალი საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის პოლიტიკური გავლენის გაზრდის მძლავრი ინსტრუმენტი იყო.

ცხადია, პოსტ-პანდემიური კრიზისი და მისგან გამომწვეული დაფინანსების შემცირება სხვებთან ერთად თავდაცვის სფეროსაც შეეხება. ეკონომიკური და ფინანსური სიძნელეების პირობებში ევრო-ატლანტიკური რეგიონის მთავრობები თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებს ნაკლებ ყურადღებას დაუთმობენ. ისტორიული გამოცდილება გვკარნახობს, რომ დემოკრატიებისგან განსხვავებით, ავტორიტარული რეჟიმები სამხედრო ხარჯებს ნაკლებად ხშირად ამცირებენ. სოციალურ-ეკონომიკური სიძნელეებისას ასეთი რეჟიმები საზოგადოებრივი აზრის უფრო სუსტ წნეხს განიცდიან.¹² ახლო წარსულის ისტორიული მაგალითია პუტინის რეჟიმის მიერ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შეიარაღებული ძალების მასშტაბური მოდერნიზაციის დაწყების მიზეზად გამოყენება, რამაც ქვეყნის შიგნით შექმნილი სოციალური და ეკონომიკური პრობლემებიდან ყურადღების გადატანის საშუალება მისცა. ამჯერად, ყირიმის ანექსიის გამო რუსეთზე დაწესებული სანქციების და ნავთობის ფასების უპრეცედენტო მერყეობის გამო¹³ მოსკოვის მიერ სამხედრო შესაძლებლობების გაზრდის გეგმები ახლა მეტი საფრთხის ქვეშაა. „ჰერიტიჯის ფონდის“

⁹ Tucker, P., 2019. Russia Is Perfecting the Art of Crushing Uprisings Against Authoritarian Regimes. [Online] Available at: <https://www.defenseone.com/technology/2019/07/russia-perfecting-art-crushing-uprisings-aid-authoritarian-regimes/158396/> [Accessed 03 June 2020].

¹⁰ Reuters/Interfax, 2019. Russian military specialists arrive in Venezuela to service equipment: Interfax. [Online] Available at: <https://www.reuters.com/article/us-russia-venezuela-specialists/russian-military-specialists-arrive-in-venezuela-to-service-equipment-interfax-idUSKBN1WA2FJ> [Accessed 03 June 2020].

¹¹ Surkov, V., 2019. Vladislav Surkov's Hugely Important New Article About What Putinism Is - Full Translation. [Online] Available at: <https://russia-insider.com/en/vladislav-surkovs-hugely-important-new-article-about-what-putinism-full-translation/ri26259> [Accessed 1 June 2020].

¹² European Parliament, 2011. The Impact of the Financial Crisis. [Online] Available at: <https://www.europarl.europa.eu/document/activities/cont/201106/20110623ATT22406/20110623ATT22406EN.pdf> [Accessed 09 June 2020].

¹³ Waller, H., 2020. Oil Rises After Libya Shuts Largest Field and Demand Perks Up. [Online] Available at: <https://www.bloomberg.com/news/articles/2020-06-08/oil-holds-losses-as-saudis-call-time-on-additional-output-cuts> [Accessed 1 June 2020]

მკვლევარი, ლუკ კოფი, აღნიშნავს, რომ ნავთობის ფასის ვარდნა და პანდემიის მართვისას გამოვლენილი სირთულეები შესაძლოა პუტინის პოპულარობისა და ლეგიტიმაციის დასუსტების მიზეზები გახდეს, რამაც, თავის მხრივ, მას საერთაშორისო ასპარეზზე უფრო აგრესიული ნაბიჯების გადადგმისკენ შეიძლება უბიძგოს.¹⁴ ანალოგიურად მოიქცა კრემლი, როცა დასავლეთის უკრაინის კრიზისზე ფოკუსირებით ისარგებლა და სირიის სამკედრო კამპანია წამოიწყო. და ბოლოს, დასავლეთის ქვეყნებში უსაფრთხოების სექტორის არასაკმარისმა დაფინანსებამ შესაძლოა ამ სფეროში თანამშრომლობის პროექტებისადმი დაინტერესება და მოტივაცია შეამციროს, რაც რევიზიონისტულ ინტერესებს დაუთმობს სამოქმედო მოედანს. ეს ტენდენციები მიუთითებენ, რომ ავტორიტარიზმის და რევიზიონისტული რეჟიმების საფრთხე შესაძლოა დამძიმდეს, თუმცა აშკარაა, რომ რუსეთისა და ჩინეთისთვის ახლა შეუძლებელია შეერთებულ შტატებისთვის შეიარაღებისა და სამხედრო ტექნოლოგიებით გადასწრება. შესაბამისად, ეს რეჟიმები იძულებულნი არიან ჰიბრიდული სტრატეგიებით იმოქმედონ.

ავტორიტარული რეჟიმები მიხვდნენ, რომ ქვეყნებს შორის საზღვრებ მოშლილი მსოფლიო რევიზიონისტული მიზნების მიღწევის დამატებით შესაძლებლობებს ქმნიდა. იზრდება ქვეყნების რიცხვი, რომელიც ომსა თუ მშვიდობაში პოლიტიკური მიზნების მიღწევად ნებისმიერი მეთოდითა თუ საშუალებით ცდილობს. ჰიბრიდული ინსტრუმენტების მუდმივი გამოყენება საფრთხის ქვეშ არა მარტო რუსეთისა და ჩინეთის უშუალო სამეზობლოსა და რეგიონს, არამედ ევრო-ატლანტიკურ სივრცეს აყენებს. დიდი ხანია, რაც დვორნიკოვისა და გერასიმოვის მსგავსმა სამხედრო ლიდერებმა მოქნილი, ვითარების ცვლილებებისადმი ადაპტირებადი სტრატეგიების შემუშავება დაიწყეს. ამ სტრატეგიებში კინეტიკურ ძალასთან ერთად იზრდება ამ ძალის დამხმარე, გამაძლიერებელი ან შემცველელი არა-კინეტიკური ინსტრუმენტების რაოდენობა და მათი გამოყენების სიხშირეც. ჰიბრიდულ ომს არც გამოცხადება სჭირდება, არც მის დასამთავრებლად საჭირო მოლაპარაკებების გამართვა. ასეთი არა-მშვიდობის პირობებში, რომელიც სრულფასოვან მშვიდობასა და ომს შორის არსებულ მდგომარეობას აღნიშნავს, ყველაზე ძლიერი სახელმწიფოებიც კი დაუცველები აღმოჩნდნენ.¹⁵ მსოფლიო პოლიტიკის მთავარ მოთამაშეებს შორის პანდემიით გამოწვეულმა ურთიერთობების დაძაბვამ და დაპირისპირებამ ევრო-ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების დესტაბილიზაციის მთავარ ფაქტორად ადგილი პერმანენტულ კონფლიქტს დაუმკვიდრა.

ზღვარი კიბერ და რეალურ გარემოებს შორის

უსაფრთხოება ცვალებადი ფენომენია, რომელზეც გავლენას პლანეტაზე მიმდინარე ყველა ცვლილება ახდენს. დღეს, როცა ქვეყნების ინტერნეტზე და ტექნოლოგიურ რესურსებზე დამოკიდებულება ყოველდღიურად იზრდება, კიდევ უფრო ძლიერად გამოიკვეთა კიბერსივრცის კინეტიკური შესაძლებლობები. პერმანენტული ჰიბრიდული ომისა და კონფლიქტის პირობებში კიბერსივრცეში და რეალობაში მიმდინარე პროცესებს შორის ზღვარი წაშლის პირასაა. კიბერსივრცე დიდწილად მისტიფიცირებულია და ჯერ კიდევ გაურკვევლობით არის მოცული. ამავე დროს, ფართო კონსენსუსი არსებობს კიბერსივრცის ჰიბრიდული ომის ძირითად ინსტრუმენტად გამოყენების და მისი, როგორც უსაფრთხოების თანამედროვე არქიტექტურის უმთავრესი ფაქტორის თაობაზე. კიბერსივრცე ადამიანის მიერ შექმნილი ტექნოლოგიური გარემოა, რომელიც სახმელეთო, საჰაერო, საზღვაო და კოსმოსური უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ამ გარემოში ოპერირებისთვისაც გამოიყენება. შესაბამისად, მან სახელმწიფო ძალის ყველა ინსტრუმენტის გამოყენების მეთოდოლოგია შეცვალა და ჰიბრიდული ომის წარმოების საკვანძო საშუალებად იქცა. ჯანდაცვა, ტრანსპორტირება, ტელეკომუნიკაციები, საბანკო სექტორი, სურსათის უსაფრთხოება და თანამედროვე სახელმწიფოს გამართული ფუნქციონირებისთვის სასიცოცხლოდ საჭირო სხვა პროცესები წარმოდგენილია ინტერნეტ კავშირის გარეშე. „საომარი მოქმედებების“ კლასიკურ დეფინიციასთან აცდენის მიუხედავად, კიბერსივრცეში მოქმედება რევიზიონისტულ ძალებს მათი ამოცანების შესრულების და მოწინააღმდეგეთა სასიცოცხლო ინტერესებისთვის ზიანის მიყენების საშუალებას ღია კონფლიქტის დაწყების ზღვრის კვეთის გარეშე აძლევს.

პეკინთან ბიზნეს ურთიერთობების, კერძოდ კი 5G ტექნოლოგიებში ჩინეთის დომინირების, უსაფრთხოების ასპექტებზე მიმდინარე დისკუსიებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა პანდემიის პირობებში შეიძინა. „ფორბსში“ გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით დასავლური კომპანიების ჩინეთიდან გამოსვლის

¹⁴ Journal on Baltic Security. Volume 6 (1). <https://www.baltdefcol.org/?id=691>
¹⁵ Merriam-Webster, 2020. Unpeace, nown. [Online] Available at: <https://www.merriam-webster.com/dictionary/unpeace> [Accessed 03 June 2020].

შედეგად ჩინეთის ეკონომიკა მნიშვნელოვან ზიანს მიიღებს. 16 საპასუხოდ, ჩინეთის განცალკევულ ქვეყნებთან ორმხრივი გარიგებების დადების მეშვეობით ტრანსატლანტიკური კავშირების დასუსტებისა და დაზიანების, შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს შორის განხეთქილების გაღრმავების მცდელობებს უნდა ველოდოდ. ამ გარიგებებს შორის დიდი ალბათობით „ციფრული აბრეშუმის გზის“ 5G-ის კომპონენტაც იქნება. ამ მხრივ დასავლეთის სხვა ქვეყნებს მისაბაძი მაგალითი მისცა კანადამ, რომელმაც „ჰუავეის“ შეთავაზებაზე უარი თქვა და 5G-ის ქსელის განვითარებისთვის ევროპულ „ნოკიასა“ და „ერიკსონს“ მიმართა.¹⁷ კიბერსივრცე, პირველ რიგში, ინფორმაციის გაცვლის ადგილია. ჰიბრიდული ომის ეპოქაში, რომლისთვისაც ინფორმაცია ყველაზე ძვირფასი რესურსი და ძალაუფლების წყაროა, ეს თვისება მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს. კიბერსივრცემ ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელების პარადიგმა შეცვალა. ინტერნეტმა ინფორმაციის შექმნის, შენახვის, მოდიფიკაციის, გაცვლისა და გამოყენების ციფრული მოდელი დანერგა. ციფრულმა ფორმატმა ინტერნეტში ღიად ხელმისაწვდომი ინფორმაციის მოცულობა უპრეცედენტოდ გაზარდა. შეუზღუდავი რაოდენობის ინფორმაციამ მისი მოხმარებისა და მიღების ჩვევებიც შეცვალა. თუ ინტერნეტის საყოველთაო გავრცელებამდე მოხმარებლების მთავარი საზრუნავი ინფორმაციის წყაროს პოვნა და მათზე წვდომის მოპოვება იყო, ახლა მთავარი მათი სანდოობის გარკვევებაა. თანამედროვე საინფორმაციო გარემოს მიერ გამოწვეულ დაბნეულობასა და კიბერსივრცის დაუცველობას ახლა პანდემიის კრიზისი დაემატა, რომელმაც საინფორმაციო ომის წარმოების ახალი შესაძლებლობები გააჩინა.

ზღვარი სიმართლესა და სიცრუეს შორის

ოსირთულე, რომელიც თანამედროვე საინფორმაციო გარემოში სიმართლესა და სიცრუის ერთმანეთისგან გამორჩევას ახლავს რევიზიონისტული ძალების დემოკრატიამდე იერიშისთვის ხელშემწყობ ვითარებას ქმნის. 2016 წელს ოქსფორდის ლექსიკონში ახალი სიტყვა „პოსტ-სიმართლე“ შევიდა. ლექსიკონის ავტორთა მიხედვით ეს ტერმინი აღნიშნავს „იმ პირობებს ან ვითარებას, რომლებშიც საზოგადოებრივ აზრზე ობიექტურ ფაქტებზე უფრო ძლიერ გავლენას ემოციური მიმართვები და თვითრწმენები ახდენს.“¹⁸ ამ ახალმა რეალობამ ინფორმაციული ეკოსისტემის ძირეული ცვლილება გამოიწვია. ხელი შეეწყო უარყოფითი ტენდენციების განვითარებას, მნიშვნელობა არამართო სამეცნიერო ინფორმაციამ, არამედ ობიექტურმა მტკიცებულებებმა, ფაქტებმა და თავად სიმართლემ დაკარგა.¹⁹ პრაქტიკაში ეს ემპირიული სიმართლის გაგების საყოველთაო სტანდარტის გაქრობით გამოიხატა. სიმართლედ იქცევა ნებისმიერი ინფორმაცია, რომლის ნამდვილობაშიც აუდიტორიის დარწმუნება მოხერხდება. შესაბამისად, ძალა და დამაჯერებლობა დაკარგეს ექსპერტულმა მოსაზრებებმა და სამეცნიერო არგუმენტებმა, რომლებიც ადვილად აღსაქმელი და მძაფრი ემოციური რეაქციის გამომწვევი ინფორმაციის ოკეანეში ჩაიკარგნენ. ალტერნატიული ფაქტების ფენომენმა გაადვილა ე.წ. „საინფორმაციო ბაბლების (ბუშტების)“ ჩამოყალიბება რომლებიც ინფორმაციის ანალოგიური შეხედულებების მქონე მოხმარებლებს ინფორმაციის წყაროების გარშემო უყრის თავს. ერთზე მეტი სიმართლის არსებობის პარადოქსმა დემინფორმაციისა და შეთქმულების თეორიების გავრცელების ხელსაყრელ გარემოდ იქცა, რამაც უკიდურესად ფრაგმენტირებული და პოლარიზებული საინფორმაციო გარემო ჩამოაყალიბა. კიბერსივრცის განუსაზღვრელ შესაძლებლობებზე დაყრდნობით საინფორმაციო ოპერაციები ევრო-ატლანტიკური ალიანსების, ინსტიტუტებისა და საზოგადოებების წინააღმდეგ წარმოებული ჰიბრიდული ომის ყველაზე შედეგიან იარაღად იქცა.

დასავლეთის ინტერესებისა და ღირებულებების საწინააღმდეგო ჰიბრიდულ ომში ავტორიტარული რეჟიმების ერთმანეთთან მჭიდრო თანამშრომლობისა და კოორდინაციის ტენდენცია პანდემიის კრიზისმა გააძლიერა. ახლა ექსპერტებმა ავტორიტარული რეჟიმების საინფორმაციო კამპანიების სინქრონიზაცია უკვე ოპერატიულ დონეზე გამოავლინეს. „შეერთებული შტატების გერმანული მარშალის ფონდის“ მოხსენებაში მოყვანილია კოვიდ-19-ის კრიზისას გამოკვეთილი ახალი ტენდენცია: რუსეთმა, ჩინეთმა და ირანმა მძლავრი ანტი-დასავლური კოალიცია ჩამოაყალიბეს.²⁰ ტენდენციააჩვენებს, რომ

¹⁶ Rapoza, K., 2020. New Data Shows U.S. Companies Are Definitely Leaving China. [Online] Available at: <https://www.forbes.com/sites/kenrapoza/2020/04/07/new-data-shows-us-companies-are-definitely-leaving-china/#3e29bbe440fe> [Accessed 10 June 2020].

¹⁷ Warburton, M. & Malara, N., 2020. Canadian telcos tap Ericsson, Nokia for 5G gear, ditching Huawei. [Online] Available at: <https://www.reuters.com/article/us-bell-canada-ericsson-5g/canadian-telcos-tap-ericsson-nokia-for-5g-equipment-amid-huawei-uncertainty-idUSKBN2391ZV> [Accessed 18 June 2020].

¹⁸ Wang, A. B., 2016. 'Post-truth' named 2016 word of the year by Oxford Dictionaries. [Online] Available at: <https://www.washingtonpost.com/news/the-fix/wp/2016/11/16/post-truth-named-2016-word-of-the-year-by-oxford-dictionaries/> [Accessed 03 June 2020].

¹⁹ McIntyre, L., 2018. Post-Truth. Cambridge Massachusetts: MIT Press.

²⁰ Wats, C., 2020. Triad of Disinformation: How Russia, Iran, & China Ally in a Messaging War against America. [Online] Available at: <https://securingdemocracy.gmfus.org/triad-of-disinformation-how-russia-iran-china-ally-in-a-messaging-war-against-america/> [Accessed 06 June 2020].

ჩინეთი კლასიკურ რუსულ სტრატეგიას იყენებს – სოციალური ქსელებზე შექმნილი ყალბი პროფილები და ბოტები, სახელმწიფოს კონტროლირებადი მედია საშუალებების დახმარებით „მრავალფეროვანი და ზოგჯერ ერთმანეთის საწინააღმდეგო შინაარსის მქონე შეთქმულების თეორიებს და დემინფორმაციას ავრცელებენ.“ მოხსენების ავტორები მიიჩნევენ, რომ ირანი და რუსეთი ჩინეთის საინფორმაციო კამპანიებს მათი საინფორმაციო-პროპაგანდისტული არხების საშუალებით ავრცელებენ და აძლიერებენ. ამ კამპანიებს შორისაა კორონავირუსის ამერიკულ ბიოლოგიურ იარაღად გასაღების კამპანია და სხვები, რომლებიც „საერთაშორისო აუდიტორიების ვირუსის წარმოშობის, გავრცელების, მასთან ბრძოლის და მკურნალობის შესახებ შეცდომაში შეყვანას ისახავს მიზნად.“ პროპაგანდის ნაწილი იყო დასავლეთის ქვეყნებისთვის ჩინეთისა და რუსეთის მიერ გაგზავნილი ჰუმანიტარული ტვირთებიც. საინფორმაციო სივრცის დემოკრატიის წინააღმდეგ გამოყენებით მათ გლობალური კრიზისი მათი პოლიტიკური დღის წესრიგის მნიშვნელოვანი ამოცანების გადაჭრისთვის გამოიყენეს.

ავტორიტარულმა რეჟიმებმა პანდემია მათ საინფორმაციო სივრცეზე ტოტალური კონტროლის საბოლოოდ დასამყარებლად გამოიყენეს. რუსეთისა და ჩინეთის საინფორმაციო უსაფრთხოების კონცეფციაში კიბერსივრცე საინფორმაციო ეკოსისტემის ნაწილია. შესაბამისად, კიბერსივრცეს პეკინისა და მოსკოვის საგარეო და საშინაო საინფორმაციო ომის სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. როგორც ჩანს, რუსეთი აქტიურად ითვისებს ჩინეთში მიღებულ პრაქტიკას და ზრდის მოქალაქეებზე ციფრული თვალთვალისა და ზედამხედველობის შესაძლებლობებს და მასშტაბს, რისი მიზანიც საზოგადოებაზე ტოტალური კონტროლის, ე.წ. „კიბერ-გულაგის“²¹ დამკვიდრებაა. საინფორმაციო გარემოში ავტორიტარული ძალების მოქმედების საწინააღმდეგო ზომების ამოქმედების ნიშანი იყო „ფეისბუკზე“ სახელმწიფოს მიერ კონტროლირებული მედიის რეკლამების განთავსების შეზღუდვა. საზოგადოებრივი აზრზე სოციალური მედიის გავლენა, განსაკუთრებით პანდემიის დროს გამართული არჩევნების დროს, საშიშ პროპორციებს აღწევს, ფეისბუკმა „რაშა თუდეის“, „სპუტნიკის“ და ჩინეთის პროპაგანდისტული არხების სარეკლამო კამპანიები დაბლოკა.²² „ფეისბუკმა“ „სახელმწიფო მედიის“ გამოყოფისთვის საჭირო პოლიტიკა შეიმუშავა, რომელიც სცდება ხილული „ფინანსური კონტროლისა და მფლობელობის ასპექტებს და მთავრობის მიერ სარედაქციო პოლიტიკაზე გავლენასაც ითვალისწინებს.“

დასავლეთის ქვეყნების ნაწილის საპასუხო ზომების მიუხედავად, ავტორიტარული რეჟიმები ინტერნეტ ტროლებისა და ბოტების ფერმებზე უარს კიდევ დიდხანს არ იტყვიან. სოციალური მედიის ყალბი ანგარიშების შექმნა და მათი მეშვეობით დემინფორმაციული კამპანიის წარმოების მიზანი დემოკრატიული ქვეყნების საზოგადოებებშიუთანხმოებისა და დაპირისპირების გაღვივება და დემოკრატიული პროცესების შეფერხებაა. ამ ტენდენციამ უკვე გამოიწვია ინფორმაციის იარაღად ქცევა, რომელსაც დაინტერესებული მხარეები, ინდივიდები თუ ჯგუფები საინფორმაციო ომში იყენებენ. პოლიტიკური შეხედულებების თუ ორიენტაციისგან დამოუკიდებლად, კრემლი მხარს უჭერს ყველა ექსტრემისტულ მოძრაობას, რათა ტრადიციული პოლიტიკური ლანდშაფტი რადიკალურად პოლარიზებულ გარემოდ აქციოს.²³ ბოლოდროინდელი ტენდენციები აჩვენებს, რომ დასავლური ინსტიტუტების მიერ კორონავირუსით გამოწვეული კრიზისის არაეფექტური მენეჯმენტის შემთხვევებით ასეთი პოლიტიკური ჯგუფებიც სარგებლობენ და საკუთარ პოლიტიკურ გავლენას ზრდიან. გამოცდილება აჩვენებს, რომ საინფორმაციო ომი რეალურ ეკონომიკურ თუ სოციალურ პრობლემებს პოპულისტი ლიდერების გაძლიერების შესაძლებლობად აქცევს. ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა ვინ მართალია და ვინ მტყუანი, მთავარი არეულობისა და გაურკვევლობის გაძლიერება და დესტრუქციული საინფორმაციო კამპანიების წარმოებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაა. ზემოთ მოყვანილი მაგალითები და ტენდენციები ამყარებს ვარაუდს, რომ ავტორიტარული რეჟიმები ჰიბრიდული ომის წარმოებისას უფრო აგრესიულად გამოიყენებენ კიბერსივრცეს, რაც მათთვის შიდა თუ საერთაშორისო საინფორმაციო სივრცის გაკონტროლების უმოკლესი გზაა.

²¹ Ilyushina, M., 2020. Moscow rolls out digital tracking to enforce lockdown. Critics dub it a 'cyber Gulag'. [Online] Available at: <https://edition.cnn.com/2020/04/14/world/moscow-cyber-tracking-qr-code-intl/index.html> [Accessed 19 August 2020].

²² Gleicher, N., 2020. Labeling State-Controlled Media On Facebook. [Online] Available at: <https://about.fb.com/news/2020/06/labeling-state-controlled-media/> [Accessed 30 June 2020]

²³ Györi, L. & Krekó, P., 2016. open democracy. [Online] Available at: <https://www.opendemocracy.net/en/odr/don-t-ignore-left-connections-between-europe-s-radical-left-and-ru/> [Accessed 9 June 2020].

შეჯამება და დასკვნები

კოვიდ-19-ის პანდემია არც რევოლუციაა და არც ისტორიული გარდატეხის მომენტი. ამავე დროს, ამ გლობალურმა კრიზისმა დააჩქარა და გააძლიერა უსაფრთხოების უკვე არსებული პრობლემები, მათ შორის ჰიბრიდული ომის მეთოდების გამოყენება. გლობალური დომინირებისთვის დღეს გაჩაღებული კონკურენციამ მსოფლიო ჰიბრიდულ ბრძოლის ველად აქცია. ამ თანამედროვე ასპარეზზე ავტორიტარული რეჟიმების სტრატეგიული უპირატესობა უპასუხისმგებლო, თავგებულადღებული და აგრესიული ქცევა, ასევე გეოპოლიტიკური მიზნების მიღწევის ხარჯზექტური და შედეგიანი გზების პოვნაა. რეგიონისტული ძალები მათ ჰიბრიდულ სტრატეგიებს დასავლეთის მიერ გამოვლენილი სუსტი მხარეების მიხედვით აყალიბებენ. ეს დასავლეთის ინსტიტუტებს თანამედროვე უსაფრთხოების ეკოსისტემასთან სწრაფი და ეფექტური ადაპტირების ტვირთს აკისრებს. ადაპტირების დიდი ნაწილი ჰიბრიდული სტრატეგიების გამოყენებისადმი მდგრადობის განვითარებაა. მაშინ, როცა ასეთი ქცევის შეკავება, იზოლაცია ან შეჩერება შეუძლებელია, სასიცოცხლო მნიშვნელობას მდგრადობის კომპონენტი იძენს.

უსაფრთხოების სისტემაზე გავლენას ტექნოლოგიაზე და ინტერნეტზე დამოკიდებულებაც ახდენს. შესაბამისად, მშვიდობასა და ომს, კიბერ და რეალურ სივრცეს, სიმართლესა და სიყალბეს შორის განსხვავებების წაშლის ტენდენცია დიდი ალბათობით მომავალშიც გაძლიერდება. დღეს ყველასთვის ცხადია, რომ თანამედროვე ჰიბრიდული ომის დიდი ნაწილი კიბერსივრცეში და საინფორმაციო ველში წარიმართება. კოვიდ-19-ის კრიზისის დასრულების შემდეგ ჰიბრიდული ომის გაძლიერება ევრო-ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების მთავარ საშიშროებად დარჩება. რეგიონისტული ძალები გააგრძელებენ დასავლეთის სუსტი და დაუცველი წერტილების ძიებასა და მათ გამოყენებას, დემოკრატიულ ქვეყნებს შორის უთანხმოებების გაღვივებას. ეს ყველაფერი ღირებულებებზე დაფუძნებული საერთაშორისო სისტემაზე საბოლოო იერიშის ნაწილია. ანალიტიკურ წრეებში ფართო კონსენსუსია - პანდემია გლობალიზაციის პროცესის შეფერხებას და რეგიონალიზაციის გაძლიერებას გამოიწვევს. „რეგიონალიზაციის“ რეგიონისტული ხედვა გლობალური მოთამაშეების მიერ მათ გარშემო რეგიონების ამ ძალების გავლენის სფეროებად დაყოფას ითვალისწინებს.

ისტორიული გამოცდილება გვაჩვენებს, რომ დასავლეთის ქვეყნებს შორის უთანხმოებებითა და ფინანსური სიძნელეებით რეგიონისტული ძალები საკუთარი პოზიციების გამყარებისთვის სარგებლობენ. ამ მხრივ განსაკუთრებული უნარები და მზაობა რუსეთმა გამოავლინა, რომელმაც ევრო-ატლანტიკურ სივრცეში შექმნილი გაურკვევლობა მემობელ ქვეყნებში შეჭრისა და მათი ოკუპაციისთვის გამოიყენა. რუსეთის გეგმაზომიერ მოქმედებას ცხადყოფს 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესია, რომელსაც 2014 წელს ყირიმის ანექსია და აღმოსავლეთ უკრაინის სამხედრო კამპანია მოჰყვა. კრემლმა საქართველოში შეჭრა საკუთარი მოსახლეობის ყურადღების სოციალური და ეკონომიკური პრობლემებიდან გადასაყვანადაც გამოიყენა და მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციაზე გადაამისამართა. დასავლეთის უკრაინის კრიზისზე მაქსიმალური კონცენტრაციისას მოსკოვმა სირიის სამხედრო კამპანია წამოიწყო. შესაბამისად, მოსალოდნელი უნდა იყოს პანდემიით გამოწვეული სირთულეებისა და დაბნეულობის რეგიონისტული ძალების მიერ საკუთარ დღის წესრიგში შემავალი ამოცანების შესრულებისთვის გამოყენება. ეს ჰიბრიდული ომის გამძაფრებას, პირველ რიგში, მცირე ქვეყნების საწინააღმდეგოდ მოასწავებს, რადგან ისინი მათი გავლენის სფეროებში მოექცევიან.

აღნიშვნის ღირსია ჰიბრიდული ომის პანდემიით გამოწვეული ფინანსური სიღუბის დროს აქტუალიზაციაც. სამხედრო ხარჯების დაზოგვის პირობებში პირველხარისხოვან მნიშვნელობას კიბერსივრცეში და საინფორმაციო გარემოში ჩატარებული ოპერაციების იძენენ. დღეს არავინ დაობს, რომ რეგიონისტულმა ძალებს გააჩნიათ საკმარისი გამოცდილება და უნარი ჰიბრიდული ომის დემოკრატიის საწინააღმდეგოდ გამოსაყენებლად. უსაფრთხოების ექსპერტები თანხმდებიან, რომ კიბერსივრცის და საინფორმაციო ეკოსისტემის ზომის, მნიშვნელობისა და ტექნოლოგიური განვითარების მასშტაბებმა ჰიბრიდული ომი უსაფრთხოების თანამედროვე არქიტექტურის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად აქციეს. კოვიდ-19-ის პანდემიამ, რომელიც თანამედროვე სამოგადობრივი ცხოვრების ყველა ასპექტს შეეხო, მიმდინარე ტენდენციებიც დააჩქარა. მათ შორის სამთავრობო, ეკონომიკური და ფინანსური, საგანმანათლებლო და სხვა სოციალურ-ეკონომიკური აქტივობების კიბერსივრცეში მიგრაციაა. ეს ტენდენცია გაზრდის კიბერუსაფრთხოებისა და კიბერტექნოლოგიების მნიშვნელობას მსოფლიო პოლიტიკის ყველა აქტორისთვის. საერთაშორისო ასპარეზზე გამარჯვება ახლა კიბერსივრცეში და საინფორმაციო გარემოში დომინირებასთანაა დაკავშირებული.

გვაქვს საფუძველი განვაცხადოთ, რომ გლობალური სისტემის კოლაფსის თავიდან აცილებისთვის დასავლეთის წინაშე საერთო ღირებულებებისა და ინტერესების გარშემო კონსოლიდაციის გადაუდებელი ამოცანა დგას. დასავლეთმა საკუთარი სიმტკიცე და მდგრადობა საფრთხეების შესახებ არსებული ხედვების დაახლოებით და საერთო სტრატეგიისა და მომავლის ხედვის განვითარებით უნდა უზრუნველყოს. ნატო და ევროკავშირი ქმნიან შესანიშნავ შესაძლებლობებს ევრო-ატლანტიკურ სივრცეში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებისთვის, რომლის მიზანი საერთო ინტერესებისა და ღირებულებების უკეთესად დაცვა იქნება. პანდემიის შედარებით წარმატებული მართვის რამდენიმე გამონაკლისის მიუხედავად, კრიზისმა ცხადყო, რომ მიმდინარე და მომავალ გლობალური საფრთხეებთან ცალკეული ქვეყნის თუ ინსტიტუტის მიერ დამოუკიდებლად გამკლავება შეუძლებელი იქნება. მკაცრი და საზიანო შემლუდვების გარეშე კოვიდ-19-ის პანდემიასთან ბრძოლაში ხელშესახები შედეგებისთვის მიღწევა ჯანდაცვისა და კრიზისული მენეჯმენტის ვერცერთი ქვეყნის სისტემამ ვერ შეძლო. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების სუსტი მხარეების შეფასებისა და მის განმტკიცებაში ინვესტირების გადაუდებელ აუცილებლობას.

